## K-38-38-B-в

ნომენკლატურის 1:10 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი




მარტვილის რაიონში, სოფ. ლებარდეში სასარგებლო წიაღისეული (მინერალური წყალი) სარგებლობის ობიექტის ჭაბურღილის წერტილების კოორდინატები

| № | X | Y | S |
|---|---|---|---|
| 1 | 295570 | 4734495 | 0.07 ჰა |
| 2 | 295576 | 4734502 | 0.07 ჰა |

WGS 1984

# საქართველო

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

### საჯარო სამართლის იურიდიული პირი
### გარემოს ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 1002857

2015 წლის „ 14 " აგვისტო "

(ლიცენზიის უწყვეტოდ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „მარტვილის წყლები"-ზე, ს/კ 435 428 020;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი:

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 14 აგვისტოს №1322/ს და №1323/ს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 06 აპრილის №1-1/700 და 2010 წლის 13 ივლისის №1-1/1166 ბრძანებები.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლებარდეს მიმდებარე ტერიტორიაზე, „ლებარდეს" მინერალური წყალი (ჩამოსასხმელი);
K-38-38-B-в ნომენკლატურის ტოპოგრაფიული რუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობი - 0,14 ჰა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა:

„ლუბარდეს" მინერალური წყლის (ჩამოსასხმელი) მოპოვება - 1,5 კუბური მეტრი დღე-ღამეში;

სალიცენზიო პირობები:

განსაზღვრულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის აგვისტოს №1322/ს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 06 აპრილის №1-1/700 ბრძანებებში.

ლიცენზიის მოქმედების ვადა – 25 წელი, 13.07.2010 დან 06.04.2034 მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს"
უფლებამოსილი წარმომადგენელი

(ხელმოწერა)

ბ.ა.

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.

(ხელმოწერა)

ბ.ა.

დამკვეთი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის № 23-4000

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**გარემოს ეროვნული სააგენტო**

KAl

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1322/ს

**14 / აგვისტო / 2015 წ.**

**„ი/მ ( გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის შპს „მარტვილის წყლები“-ზე მთლიანად საკუთრებაში გადაცემის შესახებ'' საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 13 ივლისის №1-1/1166 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-$7^1$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-$7^3$ მუხლის, შპს „მარტვილის წყლები“-ს და ფ/პ შორის გაფორმებული 20.07.2015წ. ხელშეკრულების, შპს „მარტვილის წყლები“-ს და ფ/პ განცხადებების (№8096 №8097 04.08.2015წ.) საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. „ი/მ ( ) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის შპს „მარტვილის წყლები“-ზე მთლიანად საკუთრებაში გადაცემის შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 13 ივლისის №1-1/1166 ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. შპს „მარტვილის წყლები“-ს მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლებარდეს მიმდებარე ტერიტორიაზე, (მიწისა და სამთო მინაკუთვნი, საერთო ფართობით 0,14 ჰა, განსაზღვრულია X და Y კოორდინატების ფარგლებში ამ ბრძანების დანართის შესაბამისად) სასარგებლო წიაღისეულის - „ლებარდეს“ მინერალური წყლის (ჩამოსასხმელი) მოპოვება განესაზღვროს დღე-ღამეში 1,5 მ$^3$-ის ოდენობით;"

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

3.დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანა და შპს „მარტვილის წყლები"-ზე სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების შესაბამისად;

4.ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (თბილისი, გულუას ქ. N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი (1 გვ)

დამტკიცებულია

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის

2015 წლის "----14.08-----" № 322/ს ბრძანებით

მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლებარდეს მიმდებარე ტერიტორიაზე, „ლებარდეს“ მინერალური წყლის (ჩამოსასხმელი) მოპოვების ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

| № | X | Y | S |
|---|---|---|---|
| 1 | 295570 | 4734495 | 0,07 ჰა |
| 2 | 295576 | 4734502 | 0,07 ჰა |